„ბახ“

მოსწავლეები სიტყვის ბარათებით თამაშობენ ბანქოს და ხმამაღლა ამოიკითხავენ მათზე დაწერილ სიტყვებს.

კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: წყვილები, ოთხწევრიანი ჯგუფები.

რესურსი: ბანქოს ზომის სიტყვის ბარათები, 5-6 ბარათი სიტყვით „ბახ“.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს: ა) სიტყვის ბარათებს, ბ) 5-6 ბარათს სიტყვით „ბახ“. სიტყვის ბარათების რაოდენობა მოსწავლეთა რაოდენობაზე მეტი უნდა იყოს. შეურევს ბარათებს და აურევს დასტას.
- მოსწავლეები მორიგეობით იღებენ თითო ბარათს (დასტის პირველ ბარათს), ამოაბრუნებენ, ხმამაღლა კითხულობენ სიტყვას. თუ მოსწავლემ სწორად ამოიკითხა სიტყვა, ის იტოვებს აღებულ ბარათს. თამაშს აგრძელებს სხვა მოსწავლე.
- თუ მოსწავლე შეცდომით ამოიკითხავს სიტყვას, მას მოუწევს ბარათის დასტაში დაბრუნება. ამ შემთხვევაშიც თამაშს აგრძელებს მომდევნო მოსწავლე.
- თუ მოსწავლეს შეხვდა ბარათი სიტყვით „ბახ“, იგი იტოვებს „ბახ“ ბარათს, უკან აბრუნებს ყველა მანამდე აღებულ ბარათს და თავიდან იწყებს ბარათების შეგროვებას.
- იგებს ის, ვისაც დასტის დამთავრებისას ყველაზე მეტი სიტყვის ბარათი დარჩება.